ოქმი #3

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2024 წლის 19 ივნისის სხდომისა

(სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში, zoom-ის გამოყენებით)

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), თ. ბუჩუკური, რ. დუდუჩავა, ა. ელაშვილი, ლ. ეფრემიძე, დ. კაპანაძე, ა. კვინიხიძე, გ. ლავრელაშვილი, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 15 წევრი).

დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტის ბიბლიოთეკის შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა ინსტიტუტის ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ როგორც ცნობილია საბჭოს წევრებისთვის, 2010 წლის ოქტომბერში, როცა ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი გამოსახლებულ იქნა საკუთარი შენობიდან (მ. ალექსიძის ქ. # 1), მისი უნიკალური ბიბლიოთეკა ყუთებში ჩაწყობილი ჯერ თსუ ი. ვეკუას სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის შენობის ერთ ნაწილში დალაგდა, ხოლო მოგვიანებით ბიბლიოთეკის ფონდი იმავე ყუთებით გადატანილ იქნა თსუ ბიბლიოთეკის მე-4 სართულზე და დღემდე იქ რჩება. საკითხი ძალზედ მწვავეა, რადგან ბიბლიოთეკის უნიკალური წიგნები რეალური განადგურების საფრთხის წინაშეა (14 წელზე მეტია ყუთებში ინახება). მიუხედავად ჩვენი არაერთგზის თხოვნისა, ვერ გამოინახა ბიბლიოთეკის ფონდისთვის შესაბამისი ფართი. რადგან ფართის გამონახვის იმედი პრაქტიკულად აღარ არსებობს, ნ. ფარცვანიამ წამოაყენა წინადადება, მივმართოთ თსუ-ს ხელმძღვანელობას თხოვნით, აღმოგვიჩინონ დახმარება და ინსტიტუტის საბიბლიოთეკო ფონდი გადასცენ თსუ ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას, რათა წიგნადი ფონდი გადაურჩეს განადგურებას. ამასთან, დართონ ნება ინსტიტუტის საბიბლიოთეკო კომისიას, რომელიც შექმნილია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2024 წლის 15 იანვრის სხდომაზე (ოქმი # 1), ინსტიტუტისთვის განსაკუთრებულად ღირებული წიგნები და ჟურნალები გამოარჩიონ და დააბრუნონ ინსტიტუტში.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე. ჩატარდა ღია კენჭისყრა. საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ნ. ფარცვანიას წინადადებას.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : გაეგზავნოს თხოვნა თსუ რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს იმის შესახებ, რომ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საბიბლიოთეკო ფონდი, რომელიც დასაწყობებულია თსუ ბიბლიოთეკის შენობაში, გადარჩენის მიზნით გადაეცეს თსუ ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

საბჭოს თავმჯდომარე თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი ო. ჯოხაძე